პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:

1. ნინო გვაზავა. 02001011087. აბაშის მუნიციპალიტეტი საკ. ნომერი. 598915406;
2. იზოლდა გოგელია. 02001011120. აბაშის მუნიციპალიტეტი საკ. [illegible] 593419430;

# პეტიცია

## საკანალიზაციო სისტემის მოწყობა

აბაშის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, ცენტრალურ ნაწილში არსებული ქუჩის (თავისუფლების ქუჩა) 4 კმ-იან ზოლზე, ცენტრალურ საავტომობილო მაგისტრალსა და სარკინიგზო მაგისტრალს შორის, არ არის მოწყობილი საკანალიზაციო სისტემა, რის გამოც მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ნაწილში გაუსაძლისი პირობებია, ანტისანიტარიით შეწუხებულია როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ასევე ქალაქის სტუმრები. ამჟამად მოსახლეობა ითხოვს ზემოთაღნიშნულ ტერიტორიაზე საკანალიზაციო სიტემის მოწყობას, რადგან მოხდეს ფეკალური მასების გადინება საკანალიზაციო მილებში და ქალაქის ცენტრალური ნაწილი გაიწმინდოს ფეკალური მასებისგან.

ჭუჭყიანი წყალი ჩაედინება სასმელ წყალშიც, რაც მნიშვნელოვან საფრთეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას. მნიშვნელოვნად გაიზარდა სხვადასხვა დერმატოლოგიური დაავადებების გავრცელების მაჩვენებელი, დაავადებული არიან ბავშვები, ხშირად გავრცელებულია ფილტვების პნევმონიის შემთხვევები.

აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეები მოვითხოვთ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 86-ე მუხლის, მე-4 პუნქტის, "გ" ქვეპუნქტის აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, განიხილოთ წარმოდგენილი პეტიცია და მოქალაქეთა სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით უმოკლეს დროში უზრუნველყოთ აბაშის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ცენტრალურ ნაწილში, საავტომობილო გზისა და სარკინიგზო მაგისტრალს შორის არსებულ ტერიტორიაზე (თავისუფლების ქუჩის 4 კილომეტრიანი ზოლში) საკანალიზაციო სისტემის მოწყობის საკითხის საკრებულოს სხდომაზე განხილვა და გადაწყვეტა.

პეტიციას თან ერთვის დანართები:

1. პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების პირადობის მოწმობების (პასპორტის) ასლები;
2. პეტიციის მხარდამჭეთა ხელმოწერილი ბლანკები.

პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების სახელი, გვარი და ხელმოწერა:

1. ნინო გვაზავა ნ. გვაზავა
2. იზოლდა გოგელია ი. გოგ.

პეტიციის წარდგენის თარიღი: 11 სექტემბერი 2017 წელი

შემოსულია № 07/27
ფურცელი 19+2=21
"11" 09 2017წ.